შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება

N 13
29/05/2020

13-08-4-202005291301

შუახევის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შუახევის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით მოსარგებლე ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან (მოიჯარეებთან) გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით შუახევის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

„საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტით, ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების გამო ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევის გათვალისწინებით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციის მე-13, მე-14, მე-15, მე-18, მე-19, 21-ე და 26-ე მუხლებში მითითებული უფლებები, ანუ, შეიზღუდა ყველა იმ მუხლის მოქმედება, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულია ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებასთან. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით დამტკიცდა „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები“. აღნიშნული დადგენილებით, სხვა ღონისძიებებთან ერთად, საქართველოში შეჩერდა ეკონომიკური საქმიანობები, გარდა ადამიანის არსებობისათვის და ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო პროდუქციის რეალიზაციასთან და მომსახურებების გაწევასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობისა.

შუახევის მუნიციპალიტეტს გაფორმებული აქვს რიგი ხელშეკრულებები, რომლითაც მუნიციპალიტეტის ქონება სარგებლობის უფლებით გაცემული აქვს სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობისათვის და ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე იჯარის თანხის გადადხა მუნიციპალიტეტისათვის ვერ ხერხდება.

საქართველოს ორგანული კანონის – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად - შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. საქართველოში ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებით მოსარგებლეების (მოიჯარე) დახმარების მიზნით, თანხმობა მიეცეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის შეცვლა, კერძოდ ქონებით სარგებლობისათვის დადებულ ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა, გადასახდელი საიჯარო ქირის გადავადების მიზნით.

2. ქონებით სარგებლობისათვის გადასახდელი საიჯარო ქირის გადავადება მოხდეს 2020 წლის მარტიდან. გადავადებული საიჯარო ქირა პროპორციულად გადანაწილდეს 2020 წლის

დარჩენილ და 2021 წლის საიჯარო პერიოდზე ან/და ქონებით სარგებლობის ვადა გაიზარდოს საიჯარო ქირის გადახდის გადავადების ვადით.

3. მუნიციპალიტეტის ქონებით სარგებლობის უფლებით მიმღებ პირებს საშეღავათო პერიოდის სარგებლობის გათვალისწინებით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის (შენატანი ძირი თანხის დაუფარავ ნაწილზე) არ დაეკისროს პირგასამტეხლო.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

გიორგი დავითაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა